ოქმი:**ო31. 3123185001**
თარიღი:**04/07/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N10

ქ. ლანჩხუთი

27. 06. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ხვიჩა ნიკოლაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა სამი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს. ასევე, საკრებულოს წევრებს შესთავაზა, რომ დღის წესრიგის პროექტის მე-6 საკითხი განეხილათ მე-13 საკითხად.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის პირველი ქუჩისთვის წმ. გრიგოლის სახელის მინიჭების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ.ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

12. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ხვიჩა ნიკოლაიშვილი/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

14. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანას“ (ს.კ 433642356) დირექტორმა ციცინო ჩხარტიშვილმა, (განცხადების N10/302313146-30 11.05.2023 წელი) რომელმაც ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბავშვთა მხარდამჭერი ღონისძიებების გატარების, ბავშვის მიტოვების ან ოჯახისაგან განცალკევების პრევენციის, ოჯახების მხარდაჭერისა და ბენეფიციართა სოციალური ინკლუზიის მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 108,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086)) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა, განსაზღვრა პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის საფასური, (რომელიც შეადგენს- 12 ლარს.)

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N37 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 4893.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.09.50.281) პრივატიზების მიზნით, სამჯერ უზრუნველყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის მოწყობა - სხვადასხვა საწყისი საპრივატიზებო საფასურით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი განკარგვა არ განხორციელდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, სადაც ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 70%-ით შემცირდა.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება 50%-ს ქვემოდ ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა.

საკრებულოს წევრის, **გიორგი გოგუაძის** განცხადებით, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აღნიშნული საკითხის წინააღმდეგია, რადგან იქმნება ეჭვი, რომ სავარაუდოდ არის დაინტერესებული პირი, რომლის ინტერესსაც მოერგნენ. მისი აზრით, გამართლებული არ არის საპრივატიზებო საფასურის 70 %-ით შემცირება, რადგან ამით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 60000 ლარზე მეტით ზარალდება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** კოლეგებს შეახსენა თავის დროზე მათ მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლითაც შესაძლებელი რომ ყოფილიყო, დამწვარი ადმინისტრაციული შენობის სიმბოლურ ფასად გადაცემის წინააღმდეგი არ იქნებოდნენ. გარდა ამისა, კონკრეტულ პიროვნებას ადგილზე ჩამოყვანილი ჰყავდა არქიტექტორები, რომელთა განცხადებით, მხოლოდ დამწვარი შენობის ფართი პროექტის განხორციელებისთვის არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებით ტერიტორია. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მოსაზრებით, თავის დროზე აღნიშნული მიწის ნაკვეთის 96000 ლარად შეფასება არ იყო მართებული, რადგან ამ ფასად მას არავინ არ შეიძენდა. ამასთან აღნიშნა, რომ ეს ტერიტორია დაახლოებით 12 წელია, რაც უფუნქციოდაა და გადაიქცა ნაგავსაყრელად.

საკრებულოს წევრმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ დამწვარი ადმინისტრაციული შენობის სიმბოლურ ფასად გადაცემის წინააღმდეგი არ იქნებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ, აღნიშნულ ტერიტორიაზე მფლობელი განახორციელებდა სოლიდური ღირებულების პროექტს.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** მიმართა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომ თავის დროზე ის აპირებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალგაზრდული ცენტრის გაკეთებას, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ განუმარტა, რომ ამის შესახებ შეიძლება ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა გარკვეული მონახაზი, მაგრამ მისი მხრიდან არც რაიმე დაპირებას ჰქონია ადგილი და არც თანხა არ ყოფილა გამოყოფილი.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს იმასთან დაკავშირებით, რომ პრივატიზებული ობიექტების მფლობელებმა უნდა შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, რადგან ქონების შეძენიდან წლების განმავლობაში არ ხდება უსახური შენობების არც დემონტაჟი და არც რეაბილიტაცია.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 4 წევრი (კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N38 (27.06.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 31 მაისს N69 წერილით (კანცელარიის ნომერი N13/302315112 – 30 31.02.2023 წ.) მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს (ს/კ 433649322) დირექტორმა გოჩა მოქიამ, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N 76 -ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.06.52.002) განთავსებული შემდეგი ოთახების გადაცემა სარგებლობაში : პირველ სართულზე - ოთახი N 14 – 18,38კვ.მ. ოთახი N 15 – 10,51 კვ.მ. ოთახი N 16 – 35,20 კვ.მ. ოთახი N 17 – 21,95 კვ.მ. ოთახი N 18 – 22,54 კვ.მ. ოთახი N 19 – 19,67 კვ.მ. ოთახი N 20 – 170,18 კვ.მ. მეორე სართულზე - ოთახი N 10 – 12,97 კვ.მ. ოთახი N 12 – 17,66 კვ.მ ოთახი N 13 – 10,05 კვ.მ. ოთახი N 17 – 25,60 კვ.მ. ოთახი N 18 – 16,37 კვ.მ. ოთახი N 19 – 31,81 კვ.მ. ოთახი N 20 – 29,52 კვ.მ. ოთახი N 21 – 22,91 კვ.მ. ოთახი N 22 – 23,59 კვ.მ. ოთახი N 23 – 34,72 კვ.მ. საერთო ფართი - 523,63 კვ.მ. ზემოთ აღნიშნულ ოთახებს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს (ს/კ 433649322) თანამშრომლები იყენებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს" (ს/კ 433649322) უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით გადაეცეს ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N 76 -ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა- ნაგებობაში (ს/კ 27.06.52.002) განთავსებული შემდეგი ოთახები: პირველ სართულზე - ოთახი N 14 – 18,38კვ.მ. ოთახი N 15 – 10,51 კვ.მ. ოთახი N 16 – 35,20 კვ.მ. ოთახი N 17 – 21,95 კვ.მ. ოთახი N 18 – 22,54 კვ.მ. ოთახი N 19 – 19,67 კვ.მ. ოთახი N 20 – 170,18 კვ.მ. მეორე სართულზე - ოთახი N 10 – 12,97 კვ.მ. ოთახი N 12 – 17,66 კვ.მ ოთახი N 13 – 10,05 კვ.მ. ოთახი N 17 – 25,60 კვ.მ. ოთახი N 18 – 16,37 კვ.მ. ოთახი N 19 – 31,81 კვ.მ. ოთახი N 20 – 29,52 კვ.მ. ოთახი N 21 – 22,91 კვ.მ. ოთახი N 22 – 23,59 კვ.მ. ოთახი N 23 – 34,72 კვ.მ. საერთო ფართით - 523,63 კვ.მ. თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N39 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, ერთი და იგივე შინაარსობრივი განცხადებით, წერილობით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირებმა - ლია კუპრაძემ (კანცელარიის ნომერი N19/302315027-30 30/05/2023 წ.) და მაია თურმანიძემ (კანცელარიის ნომერი N19/30231508-30 30/05/2023 წ.) რომლებმაც - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, კერძოდ, სარგებლობის ქირის საფასურის გადაუხდელობის გამო, ითხოვეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს - ლია კუპრაძესა და მაია თურმანიძეს სრულად აქვთ გადახდილი მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო გადასახადი. სამსახური ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

საკრებულოს წევრმა, **ირმა მგელაძემ** აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ პანდემიის დროს ითხოვდნენ მოქალაქეების პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას და კარგია, რომ ახლა მაინც იღებენ ამ გადაწყვეტილებას.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით მაშინ ის პირები ითვლებოდნენ

არაკეთილსინდისიერ გადამხდელებად, რადგან არ ჰქონდათ დაფარული თანხის ძირიც კი. იმ შემთხვევაში, თუ ეს მოიჯარეები გადაიხდიდნენ ძირ თანხას და იმ პერიოდის დავალიანებას, როცა არ იყო პანდემია, მუნიციპალიტეტი მაშინვე გამოთქვამდა მზაობას და საკრებულოსთან შეთანხმებით, ისინი გათავისუფლდებოდნენ პირგასამტეხლოსგან.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N40 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (კანცელარიის ნომერი 30-302308884 29/03/2023 წელი) მომართა შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/კ 203836233) წარმომადგენელმა გივი კუბლაშვილმა, რომელმაც სამი წლის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა განსაზღვრა პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის საფასური.(რომელიც შეადგენს - 3600 ლარს).

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N41 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა,

რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების საფუძველია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია და „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N42 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის პირველი ქუჩისთვის წმ. გრიგოლის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მისი განმარტებით, სამთავრობო კომისიიდან მიღებულია თანხმობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კურორტ გრიგოლეთის პირველ ქუჩას მიენიჭოს წმ. გრიგოლის სახელი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N43 (27.06.2023).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან აღნიშნა, რომ სამთავრობო კომისიიდან მიღებულია თანხმობა, რაც იძლევა საშუალებას, რომ გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ჯუნეწერში არსებულ სკვერს მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N44 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან აღნიშნა, რომ ზურაბ თავართქილაძეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, კოლეგები, მეგობრები იცნობდნენ როგორც თავმდაბალ, შრომისმოყვარე, თავისი საქმის პროფესიონალს. ის უპრეტენზიოდ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ადამიანურ თუ სამსახურებრივ მოვალეობებს. ამის არაერთი მაგალითის მოყვანა

შეიძლება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის 1985 წლის 22 ნოემბერი, როდესაც მან, საკუთარი სიცოცხლის ფასად კატასტროფისგან იხსნა მშობლიური ქალაქი და მისი მოსახლეობა, მოახდინა რა, ყოფილი „ნევთობაზის“ ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის ლოკალიზება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N45 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ცვლილება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ განკარგულების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტში გადასაცემი ფართის ოდენობა ნაცვლად 113,80 კვ. მეტრისა მითითებულია 113,99 კვ.მ. ცვლილებით ხდება აღნიშნული შეცდომის გასწორება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N46 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა. კერძოდ:

1. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე N114-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის რეაბილიტაცია - 140717 ლარი;

2. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (კოლეჯი) მიმდებარედ მისასვლელი გზის მოწყობა - 120000 ლარი;

3. ქ. ლანჩხუთში ნ. ურუშაძის, წერეთლის და ნინოშვილის შესახვევის ქუჩების რეაბილიტაცია - 570000 ლარი; საერთო ჯამში თანხა შეადგენს 830717 ლარს.

საკრებულოს წევრმა, **გიორგი გოგუაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ თავისუფლების ქუჩა არის ავარიულ მდგომარეობაში. სტიქიის შედეგად მოხეთქილი ნაძვის ხეების გამო ჩახერგილია სანიაღვრე არხები და ძლიერი ნალექის დროს ვერ ატარებს წყალს. იტბორება ეზოები და გზაზე გადაადგილება ფაქტობრივად, შეუძლებელია,

რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წელს დაასრულა რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი ლიმიტი, მაგრამ დამატებით რვა ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი არის მზად და ელოდებიან დაფინანსებას. უკვე გამზადებულ პროექტებს დაემატება კიდევ სამი ქუჩა და სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ივლისის თვის დასაწყისისთვის ელოდებიან თანხის გამოყოფას, რათა დაიწყონ რეაბილიტაცია. გარდა ამისა, არის ქუჩები, სადაც ათეული წლებია რეაბილიტაცია არ ჩატარებულა და სამუშაოები ნულიდანაა დასაწყები.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, თუ ელოდებიან დაფინანსებას ადმინისტრაციულ ერთეულებისთვის.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, დაფინანსება ხდება იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რომელიც უკვე გამზადებული და მოწონებულია. ამასთან, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ლიმიტი მუნიციპალიტეტს უკვე ამოწურული აქვს და საქართველოს მასშტაბით მეორე ადგილზეა ათვისების კუთხით. ივლისის თვის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა გარკვეული ფინანსები და დაიწყება ყველა მოწონებული პროექტის განხორციელება, რომელთა შორის იქნება როგორც გარდამავალი, ასევე, მიმდინარე წლის ბოლომდე დასასრულებელი პროექტები. აქ საუბარია რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილ დაფინანსებაზე. რაც შეეხება სტიქიას, თანხის გარკვეული ნაწილი, დაახლოებით 1 700000 ლარი, უკვე გამოყოფილია ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის და ტენდერში გამარჯვებული კომპანიაც გამოვლენილია.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, **კახაბერ ასკურავამ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ უკვე მოწონებული ხუთი პროექტიდან ერთი საერთოდ არ დაწყებულა და ორი იქნა დაჯარიმებული. მათ შორის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მიმართა ფრაქციის თავმჯდომარეს, რომ საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, რადგან აღნიშნული პროექტის შესახებ მათთვის ცნობილია. კერძოდ, საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში დაახლოებით ორი წლის წინ მუნიციპალიტეტმა მოიგო გრანტი, რომლის მიხედვით ერთი პროექტი უნდა განხორციელებულიყო ჩიბათის და მეორე - ორაგვის მიმართულებით. აქედან, ორაგვეში შესრულდა ერთი პროექტი, ხოლო ჩიბათში სრულად იქნა ათვისებული. ამის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერის მიერ ორაგვესთან დაკავშირებით დამატებით იქნა წარდგენილი, რომ განვითარებულიყო პროექტი და ჯუმათის მონასტრის მიმართულებით მოწყობილიყო ზიპლაინი და ველობილიკი, მაგრამ შემსრულებელმა გასულ წელს ჩააგდო პროექტი. მას მიეცა გარკვეული ვადა სიტუაციის გამოსასწორებლად, რაც ვერ შეასრულა. შესაბამისად, შეთანხმების საფუძველზე, კომპანიას გაუკეთდა დისკვალიფიკაცია. ყოველივე ამის შემდეგ, მეორედ გამოცხადდა ტენდერი. მუნიციპალიტეტის მერი ეთანხმება ფრაქციის თავმჯდომარეს, რომ პროექტის შემსრულებელი არის ჯარიმაზე, რადგან შესაბამისად ვერ ასრულებს სამუშაოს. მიცემული აქვს ვადა სამ ივლისამდე და თუ ამ დროში ვერ დაასრულებს პროექტს, მოხდება ხელშეკრულების გაწყვეტა და ხელახლა გამოცხადდება ტენდერი. გარდა აღნიშნულისა, არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არ არის შეჩერებული. ამ კუთხით, გასული წელი მუნიციპალიტეტმა დაასრულა პირველ ადგილზე, ხოლო მიმდინარე წელს აქვს 95 %-იანი შესრულება და არის მეორე ადგილზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N47 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ხვიჩა ნიკოლაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, შპს

,,ბისიჯის“ (ს/კ 405012061) დირექტორის ზვიად გაბისონიას (წერილის რეგისტრაციის N:10/30231233-30), მოქალაქე რომან სესკურიას (წერილის რეგისტრაციის N:19/302314552-30), მოქალაქე რომან წულაიას (წერილის რეგისტრაციის N:19/302314553-30), და მოქალაქე ვალერი კარანაიას (წერილის რეგისტრაციის N:19/302314554-30) განცხადებები. წარმოდგენილი მომართვების საფუძველზე, ზემოაღნიშნული პირებმა ითხოვეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

სოფელ გრიგოლეთში ზღვის აკვატორიაში, სანაპიროს გასწვრივ 25 მეტრისა და სანაპიროდან 100 მეტრის სიღრმეში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრა. იქედან, გამომდინარე რომ განმცხადებლები ეწევიან კომერციულ საქმიანობას, ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილის განსაზღვრის საკითხის შესათანხმებლად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ აცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს. აღნიშნული უწყების 2023 წლის 12 ივნისის N MIA 3 23 01657554 საპასუხო წერილით მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობა, რომ სოფელ გრიგოლეთში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით, სანაპირო დაცვის დეპარტამენტს საწინააღმდეგო პოზიცია არ გააჩნია.

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, რომ საუბარია მხოლოდ ზღვის აკვატორიაზე, თუ ეს ეხება მდინარე სუფსის შესართავში გარკვეულ მანძილზე სკუტერების შემოსვლას, რადგან აქამდე ამის შესაძლებლობა მათ ჰქონდათ, რაც ტურისტული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა განმარტა, რომ აზომვით ნახაზზე წარმოდგენილია კონკრეტული ლოკაციები თავისი კოორდინატებით, სადაც პირებს აქვთ ვალდებულება, რათა მოაწყონ შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N48 (27.06.2023).

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილება. კერძოდ: შეთანხმების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით 3 ერთეული ავტობუსის შეძენის დაფინანსების საავანსო ღირებულება (40%-ი) თანხა (სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე) განისაზღვრა 350.0 ათ. ლარი. მიმდინარე წელს გაფორმებულ N156 ხელშეკრულების თანახმად, მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის შეძენილი იქნება 5 ერთეული ავტობუსი თანხით 1717.5 ათ. ლარი. აქედან, 2 ერთეული ავტობუსის შეძენა თანხით - 687.0 ათ. ლარი, დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო 3 ერთეულის შეძენას თანხით - 1030.5 ათ. ლარი, განახორციელებს მუნიციპალიტეტი, რომლის 40%-ი 412.2 ათ. ლარი, ავანსის სახით მიმდინარე წელს უნდა ჩაერიცხოს მომწოდებელს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მუხლი უნდა გაიზარდოს 337,0 ათ. ლარით. მათ შორის, საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 9 ივნისის N1085 განკარგულებით გამოყოფილი 274,8 ათ. ლარი, 62,2 ათ. ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ხარჯზე.

შემოსული წინადადებების განხილვის შედეგად, დამატებით დაფინანსება უნდა გამოეყოთ შპს „სტადიონს“ - 11,0 ათ.ლარი საქონელი და მომსახურების მუხლში. სოციალური პროგრამების ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების პროგრამის დაფინანსება გაიზარდოს 15,0 ათ.ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის - 10,0 ათ.ლარი, მათ შორის, საქონელი და მომსახურების მუხლში 7,5 ათ.ლარი. 2,5 ათ.ლარი - არაფინანსური აქტივები. ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებას 6,0 ათ.ლარი საქონელი და მომსახურების

მუხლში. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას - 100,0 ათ.ლარი, აქედან ლანჩხუთობის ღონისძიების დაფინანსებაზე - 50,0 ათ.ლარი და საქონელი და მოსახურების მუხლში 35,0 ათ.ლარი, სხვა ხარჯების მუხლში 15,0 ათ.ლარი. ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე მიიმართოს 47,1 ათ.ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების მუხლი ნაცვლად 40,0 .ათ.ლარისა, გაიზარდოს 20.0 ათ.ათ.ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა იქვე, დამატებით სიტყვიერად განმარტა, რომ წლის განვლილ პერიოდში ვაკანტური თანამდებობების გამო (ეკონომიის ხარჯზე) მერიის შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 200,0 ათ.ათ.ლარით.

მუნიციპალიტეტის მერიის ღონისძიებების ორგანიზებას დაემატოს 30,0 ათ.ათ.ლარი (თევზის ფესტივალი 15,0 ათ.ლარი და წიგნის ფესტივალი 15,0 ათ.ლარი). გრიგოლეთის სანაპირო ზოლის მაგნიტური გამოკვლევა სამკურნალო კურორტის სტატუსის მოპოვების მიზნით - 20,0 ათ.ლარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 15,0 ათ.ლარით, ნიგვზიანის ამორტიზირებული ბაღის დემონტაჟი 15,0 ათ.ლარი, 2 ერთეული მინი სტადიონის მშენებლობაზე მიიმართოს 250,0 ათ.ლარი, სუფსის მუსიკალური სკოლის მშენებლობაზე - 200,0 ათ.ლარი, 2 ერთეული ბაღის ავეჯის შეძენაზე მიიმართოს 250,0 ათ.ლარი. განათლების ღონისძიებების დაფინანსება სხვა ხარჯების მუხლი გაიზარდოს 7,0 ათ.ლარით, ახალგაზრდული პროგრამის სუბსიდიის მუხლი დაფინანსება 5,0 ათ.ლარით, სპორტული ღონისძიებების სხვა ხარჯების მუხლი დაფინანსება 8.0 ათ.ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილის საფუძველზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შემცირდეს ორგ.კოდზე (წყლის სისტემის ექსპლოატაცია 020202) არაფინანსური აქტივების მუხლი 4,2 ათ.ლარი, დასუფთავების და ნარჩენების გატანა ორგ.კოდი 0301 ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯი 2,8 ათ.ლარით) და გაიზარდოს დასუფთავების და ნარჩენების გატანა ორგ.კოდი 0301 არაფინანსური აქტივები 7,0 ათ.ლარით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამატებით გასაწევი ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განმარტებაში აღნიშნული 1091.3 ათ.ლარის ნაცვლად, გაიზარდოს 871.3 ათ. ლარით. მათ შორის, ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლის 180.0 ათ.ლარით, სანებართვო მოსაკრებლის გეგმის 220,0 ათ.ლარით და ჯარიმების სანქციები და საურავებიდან მისაღები შემოსავლების გეგმის 471.3 ათ.ლარით ზრდის ხარჯზე.

საკრებულოს წევრი **ირმა მგელაძე** დაინტერესდა, გათვალისწინებულია თუ არა სპორტული ცენტრის რეაბილიტაცია, სადაც არ არის სათანადო პირობები, მათ შორის გათბობა.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ გასათვალისწინებელია ფინანსური რესურსების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, მოწესრიგდება ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში რაგბის სტადიონის ღობე და საუბარია სველი წერტილის მოწყობაზე. გარდა ამისა, თვითონ სპორტული ცენტრის დარბაზისთვის მოხდება გარკვეული ატრიბუტიკის

შეძენა. რაც შეეხება გათბობის სისტემას, მიმდინარეობს პროექტის მომზადება, რომლის დასრულების შემდეგ, წლის ბოლომდე დაიწყება სამუშაოები.

საკრებულოს წევრი, **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, რატომ ხდება ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 47,1 ათ.ლარის გამოყოფა და სად შენდება მინი სტადიონები. გარდა ამისა, საბავშვო ბაღებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ ინვენტარის შეძენა იყო თუ არა თავიდანვე დაგეგმილი, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ერთ-ერთ სოფელში წყლის სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდა პროექტის შესყიდვა. ამასთან, გასული წლის ბოლოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან იყო ეკონომია დაახლოებით 50000 ლარი, რომლის ჩასმა რატომღაც ვერ მოხდა. ამ ეტაპისთვის რადგან პროექტი უკვე მზადაა, შესაბამისად, გათვალისწინებული იქნა თანხის გამოყოფა. რაც შეეხება საბავშვო ბაღებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ ინვენტარის შეძენას, თავიდან მუნიციპალური განვითარების ფონდიდან იყო ამის შესახებ დაპირება, მაგრამ მოვიდა წერილი, რომ ამას ფიზიკურად ვერ შეძლებდნენ, რადგან აქამდე ამ კუთხით დაფინანსება მათი მხრიდან არ მომხდარა. შესაბამისად, ინვენტარს შეიძენს მუნიციპალიტეტები. მან ასევე აღნიშნა, რომ იყო რამდენიმე სტადიონის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით დაპირება, მაგრამ ამ ეტაპისთივს აშენდება შუხუთსა და ჩოჩხათში, რადგან ისინი იქნება იმ ადამიანების სახელობის, რომლებთაც ფეხბურთთან ჰქონდათ ახლო შეხება. ამასთან, ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, დაპირებისამებრ, ეტაპობრივად ყველგან მოგვარდება ეს საკითხი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ნიგოითში, სამკითხველოს რეაბილიტაციის დაპროექტების პროცესი დასრულების ფაზაშია და შემდგომში აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ საკრებულოს მიერ აღნიშნული პროექტის მოწონების შემდეგ მოხდება მისი გათვალისწინება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N14 (27.06.2023).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ძლიერი წვიმის შედეგად, რაც ფაქტობრივად, სტიქიად შეიძლება ჩაითვალოს, სოფელ წყალწმინდაში ძალიან დაზიანდა გზები და დაიტბორა ოჯახები, რის თაობაზეც ინფორმაცია მიაწოდა მაჟორიტარმა დეპუტატმა და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა. როგორც მისთვისაა ცნობილი, ანალოგიური მდგომარეობაა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით აუცილებლად მისაღებია შესაბამისი ზომები.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განცხადებით, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში გასულია ყველა ლოკაციაზე. ასევე, თხოვნით მიმართა მაჟორიტარ დეპუტატებს, რომ შექმნილ სიტუაციაზე მოწოდებული იქნას სათანადო ინფორმაცია, რათა დროულად მოხდეს მათი განხილვა და შესაბამისად, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში მოხდეს პრობლემების მოგვარება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ კარგი იქნება, თუ დაიწყებენ ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით პროექტის მომზადებას, რადგან რეგიონული განვითარების ფონდის ან სტიქიის ფარგლებში ფინანსების მოძიების შემთხვევაში,

პროექტი უკვე მზად იქნება და დროულად მოხდება შესაბამისი სამუშაოების განხორციელება.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ პროექტების შესყიდვა პრობლემა ნამდვილად არ იქნება, მაგრამ მუნიციპალიტეტის მიერ სოფლებში მიყენებული ზარალის შესახებ, შესაბამის უწყებებს უნდა მიეწოდოს მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია, რის საფუძველზეც, გამოყოფილი ფინანსური რესურსის მიხედვით მოხდება პროექტების გამზადება და შესაბამისი სამუშაოების განხორციელება.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ დღევანდელი ძლიერი წვიმის შედეგად ხიდმაღალაში სასაფლაოსთან არხი ვერ ატარებდა წყალს. პრობლემის შესახებ თავის დროზე მიწოდებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიაში და კარგი იქნება, თუ დროულად მოხდება რეაგირება. გარდა ამისა, სუფსის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია სრულყოფილადაა გასაწმენდი ჯართისა და ეკალ-ბარდისგან. ასევე, იქვე არსებული პარკი შემოსაღობია და მოსაწესრიგებელია განათება. საკრებულოს წევრმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სასურველი იქნება, რეგიონებში დაგეგმილი ფესტივალები უფრო მეტად დაფინანსდეს, ვიდრე ლანჩხუთობის ღონისძიება. ამის შემდეგ, მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს იმასთან დაკავშირებით, რომ ფრაქციას ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ გამოთქმულ შენიშვნებსა თუ წინადადებებზე არც ერთი დადებითი და ამომწურავი პასუხი არ მიუღია.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ფესტივალთან დაკავშირებით ჰქონდათ შეხვედრა ადგილობრივ ბიზნეს-სექტორთან, რადგან მხოლოდ მუნიციპალიტეტის ხარჯით ამას ვერ გააკეთებენ. რაც შეეხება სუფსის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-გასუფთავებას, ამასთან დაკავშირებით ერთხელ უკვე გასცა პასუხი ფრაქციას, მაგრამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საკითხის შესახებ ჩამოსული იყო რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელმაც აღწერა ეს ქონება და უახლოეს მომავალში მოხდება მისი გატანა.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** გამოთქვა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტში იზრდება ,,სოკარ ჯორჯია გაზის“ აბონენტების რაოდენობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ მოხერხდა სოკარის სერვის ცენტრის გახსნა. ლანჩხუთს ამ სფეროში ჰყავს არაერთი სპეციალისტი. უნდა მიიღონ ზომები, რათა მუნიციპალიტეტში გაკეთდეს სერვის ცენტრი, სადაც აბონენტებს მოემსახურება ადგილობრივი სპეციალისტი. ამის შემდეგ, მან ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტში არსებული რკინიგზის სადგურების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რკინიგზის დეპარტამენტის მხრიდან საკითხისადმი ასეთი მიდგომა ნამდვილად მიუღებელია. ასევე, უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ლანჩხუთის სადგურში არ ხდება ჩქაროსნული მატარებლის გაჩერება.

საკრებულოს წევრი, **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა, თუ რა ბედი ეწევა რაებილიტირებულ პარკში არსებულ შენობას, რადგან ვითარება გაურკვეველია, ხოლო ობიექტის იჯარით აღების მსურველი ბევრია. ასევე აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, ფინანსების გამო შეჩერებულია ასფალტის დაგების პროცესი ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ავტობანის შემაერთებელ გზაზე და სოფ. შუხუთის ერთ უბანში. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, როდის იქნება თანხა, რათა დასრულდეს სამუშაოები. ასევე, იგეგმება თუ არა სოფ. ქვიანში, რუსლან წულაძის უბანში ასფალტის საფარის დაგება და სანიაღვრე არხების მოწესრიგება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებთან თუ ჰქონდათ საუბარი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების საკითხთან დაკავშირებით. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია პარკში განთავსებული შენობა აუქციონზე გავიდეს არსებული სახით, როგორ მდგომარეობაშიც ამჟამადაა, რადგან მსურველი ბევრია, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყოველთვიურად კარგავს რამდენიმე ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ რეაბილიტირებულ პარკში განთავსებული შენობა თავიდანვე იყო პროექტში გათვალისწინებული. მართლაც ბევრმა გამოთქვა სურვილი, მაგრამ არის გარკვეული პრობლემა. კეძოდ, პროექტი არ არის ჩაბარებული, რადგან კომპანიას სახელმწიფომ შეუწყვიტა ხელშეკრულება, რის შემდეგაც ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ახალმა კომპანიამ დაიწყო მუშაობა. რაც შეეხება ამ ობიექტს, შესაყვანია წყალი და შუქი, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტი შეაფასებინებს და გაიტანს აუქციონზე, რათა მოხდეს იჯარით გასხვისება. რაც შეეხება ნიგოითში ავტობანთან მისასვლელი გზის საკითხს, განმარტა, რომ შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება არის გარდამავალი პროექტი. მიმდინარე წლის ყველა თანხა ათვისებულია და ელოდებიან ფინანსების ჩარიცხვას. გარდა ამისა, ხელშეკრულება გაფორმებულია და უახლოეს დღეებში დაიწყება სოფ. ქვიანში, რუსლან წულაძის და სოფ. ლესაში ერთ-ერთი ქუჩის მოწესრიგება. მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ იმ ქუჩაზე, სადაც კეთდება შიდა სასოფლო გზები, სანიაღვრე არხების მოსაწესრიგებლად მუნიციპალიტეტი გამოყოფს გარკვეულ ხარჯს, მაგრამ დაზუსტებით არ აქვს ინფორმაცია, არის თუ არა გათვალისწინებული სანიაღვრე არხის მოწყობა რუსლან წულაძის ქუჩაზე, ამიტომ ამ ეტაპზე სამუშაოები განხორციელდება პროექტის მიხედვით. რაც შეეხება სოფელ შუხუთის წყალმომარაგების საკითხს, არ ყოფილა კომპანიის წარმომადგენლები ადგილზე ჩამოსულები. ჯერ-ჯერობით საუბარია იმ პროექტების დასრულებაზე, რომელიც ხორციელდება სამი ადმინისტრაციული ერთეულის ყველა და ერთი ადმინისტრაციული ერთეულის ერთ სოფელში, სადაც, მიმდინარე წლის თვის ბოლოსთვის ფაქტობრივად, დასრულებული იქნება სამუშაოები, რის შემდეგ გაკეთდება მონახაზი ახალ პროექტზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრს, გიორგი გოგუაძეს ეთანხმება მუნიციპალიტეტში სოკარის სერვის ცენტრის გახსნის თაობაზე და ამის შესახებ შეიძლება კომპანიასთან საკითხის დასმა. მიმდინარე წლის ბოლოსთვის ლანჩხუთში ყველა ოჯახთან იქნება ქსელი მიყვანილი, ხოლო მომავალი წლის აპრილის თვისთვის მუნიციპალიტეტში აბსოლუტურად ყველგან მიეწოდება ბუნებრივი აირი. რაც შეეხება რკინიგზის სადგურების საკითხს, წერილობით არაერთხელ მიმართა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტს, რათა მოაწესრიგონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ყველა რკინიგზის სადგური. გარდა ამისა, დაწყებული ბაზრის ტერიტორიის მოწესრიგების ფარგლებში მოხდება რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედნის მუნიციპალიტეტის ხარჯით კეთილმოწყობა.

საკრებულოს წევრი **ირმა მგელაძე** დაინტერესდა ახალ რეაბილიტირებულ სკვერში განთავსებული საპირფარეშოს საკითხით.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, არაერთხელ აღნიშნა, რომ პროექტი საბოლოოდ არ არის დასრულებული, რადგან გარკვეული ხარვეზებია გამოსასწორებელი. კონკრეტულად, სველ წერტილთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა, მაგრამ მოხდა ვანდალური ფაქტი. საბოლოოდ, ელოდებიან პროექტის დასრულებას, რათა გახსნან რეაბილიტირებული პარკი.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** ყურადღება გაამახვილა საკითხზე, რომლის თაობაზე პასუხი მუნიციპალიტეტის მერიიდან ჯერ კიდევ იანვრის თვეში მიიღო. კერძოდ, საკითხი ეხება ჯურუყვეთში ერთ-ერთი ცენტრალური ხიდის მოჯირის მოწესრიგებას, რაც სასწრაფოდ გასათვალისწინებელია, რადგან არის საფრთხისშემცველი. გარდა ამისა, შეეხო ლესის საბავშვო ბაღის გასწვრივ გზის მოწესრიგების საკითხს და ასევე, აღნიშნა, რომ ჯურუყვეთში, ზურაბ გიგინეიშვილის სახლთან მისასვლელად საჭიროა მილ-ხიდის მოწყობა, რის თაობაზეც ინფორმაცია დიდი ხანია მიწოდებულია. როგორც მერიის შესაბამისმა სამსახურმა მოქალაქეს უპასუხა, პროექტი მზადაა და ელოდებიან დაფინანსებას. საკრებულოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ჭინათში ცხოვრობს უკრაინელების ოჯახი, რომელთაც ყოველი წვიმის დროს ექმნებათ პრობლემა, რადგან

გასაკეთებელია გაბიონი. ასევე შეეხო სოფ. ეწერში სკოლის დემონტაჟის საკითხს. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ მოქალაქეების მიერ ოთხი თვეა, რაც საავტომობილო გზების დეპარტამენტში გაიგზავნა წერილი, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიუღიათ, რასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერს და შესაბამის სამსახურს სთხოვენ დახმარებას. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა ყურადღება გაამახვილა საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიასთან“ მიმდინარე პროცესებზე და დაინტერესდა, თუ გატარდება სამართლებრივი ან სხვა სახის ღონისძიება იმ პირთან მიმართებაში, ვინც აიღო პასუხისმგებლობა კლუბზე.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტებით, სტიქიის მიმართულებით მზა პროექტებთან დაკავშირებით ჩამოვიდა თანხა 1 760000 ლარი. ხელშეკრულება გაფორმებულია და უახლოეს პერიოდში დაიწყება სამუშაოები. რაც შეეხება ლესაში გზის თემას, ერთხელ უკვე აღნიშნა, რომ დარჩენილია ორი პატარა გზის მოწესრიგება, რაც ერთი თვის ვადაში მოგვარდება. გაბიონის მოწყობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკითხი უნდა განიხილოს კომისიამ, ადგილზე გავა ჯგუფი, რის შემდეგაც მიიღებენ გარკვეულ გადაწყვეტილებას. საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწყებულია გარკვეული ღონისძიება და ყველა მიმართულებით მუშაობენ, რათა ერთობლივად იპოვონ გამოსავალი. საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებით კონკრეტულმა პიროვნებამ თვის ბოლოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უნდა წარუდგინოს ანგარიში. მას აქვს კლუბის წინაშე გარკვეული ვალდებულებები. შესაბამისად, თუკი სამართლებრივი კუთხით რაიმე საკითხი წამოიჭრება მის მიმართ, მუნიციპალიტეტი შესაბამისად, ყველა ბერკეტს გამოიყენებს. რაც შეეხება საგზაო დეპარტამენტში გაგზავნილ წერილს, საუბარია წრიულთან შექმნილ სიტუაციის შესახებ. პირადად ჰქონდა საუბარი როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილესთან და ასევე, მოქალაქეებთანაც, რადგან ეს ლოკაცია საფრთხის შემცველია. გარკვეული კანონმდებლობის გათვალისწინებით, იქ, სადაც წრიულზე ორმხრივი მოძრაობაა, კონკრეტულ კვანძთან არ შეიძლება მშენებლობა. ეწრის სკოლის დემონტაჟთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს არის შესაბამისი სამინისტროს და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მიერ შეთანხმებული დემონტაჟის პროექტი. მთავარია, რომ არის მზაობა და დაფინანსდება როგორც რამდენიმე სკოლის რეაბილიტაციის, ასევე, ეწრის და ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ერთ-ერთი სკოლის მშენებლობა.

საკრებულოს წევრმა **ირმა მგელაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ტექნიკუმის მიმდებარე ტერიტორიიდან, რომელიც ესაზღვრება კერძო სახლებს, გასატანია სამშენებლო ნარჩენები, რის გამოც პრობლემები ექმნება რამდენიმე ოჯახს, მათ შორის შშმ პირს, რადგან ხრეშის დაყრის გამო მას ჩაეხერგა მისასვლელი გზა. საკრებულოს წევრმა ამის შესახებ წერილობითაც მიმართა მუნიციპალიტეტის მერს. ასევე, აუცილებლად ამოსაწმენდია იქვე არსებული სანიაღვრე არხიც. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ბაკურის გზის რეაბილიტაციისთვის მოხდება როგორც ბაზრის დემონტაჟის შედეგად დარჩენილი, ასევე, ტექნიკუმის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყრილი სამშენებლო ნარჩენის გატანა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, **კახაბერ ასკურავამ** და საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** უკმაყოფილება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე წელია, რაც გრიგოლეთში ავტობანის მშენებლობიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთებზე მესაკუთრეებს არ აძლევენ მშენებლობის ნებართვას, რის გამოც ისინი კარგავენ შესაძლებლობას, მიიღონ გარკვეული კომერციული სარგებელი. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ცენტრალიზებულია და მუნიციპალიტეტის მერს უშუალოდ არ ეხება, მათ მიმართეს თხოვნით, რომ ეგებ მოხერხდეს მათი შეხვედრა შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლებთან.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, მუნიციპალიტეტი მშენებლობის ნებართვას გარკვეულ ლოკაციებზე გასცემს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებით. ამასთან, ყველას აქვს უფლება, გაასაჩივროს მერიის ან დეპარტამენტის გადაწყვეტილება.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ბაკურში საყანე ფართობებში მესაკუთრეების ნებართვის გარეშე რომელიღაც კომპანია აწარმოებს გაბურღვით სამუშაოებს და აცხადებს, რომ კოსმოსური თანამგზავრის ნახაზის მიხედვით ეძებენ გაზს და ნავთობს. მან მიმართა

მუნიციპალიტეტის მერს, თუ არის აღნიშნული ფაქტის შესახებ მისთვის რაიმე ცნობილი, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს და აუცილებლად მოიძიებს.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 ივნისი **2023** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 55 -	
2	ემზარ თევდორაძე	12 00	
3	ვერიკო კვირკველია	11 55	
4	გიორგი ჩახვაძე	11 50	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე		
7	ზაზა წულაძე	11 55.	
8	კარლო კვიტაიშვილი		
9	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა	11 50	
12	მაკა მშვიდობაძე	11:50	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	11 57	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 58	
16	ნინო მშვიდობაძე	11:54.	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-54	
19	გიორგი გოგუაძე	11.50	
20	გოჩა ჯანაშია	11.50	
21	ელისო ჭიჭინაძე	11.00	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	10 59	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 40	
25	ირმა მგელაძე	11 55	
26	გივი ცინცაძე	11 55	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 50	